# ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №8
## 2017 წლის 28 ივნისი

## ქ. ნინოწმინდა

**ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები, თანახმად დანართისა.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,**ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ**” ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 მარტის №13 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 06/04/2015, 190040000.35.142.016121).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **სუმბატ კიურეღიანი**

**დანართი**

**ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება**

| № | რანგირება | თანამდებობის დასახელება | რიცხოვნობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|---|
| 1 | | **საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები** | **13** | |
| | | საკრებულოს თავმჯდომარე | 1 | **2 650.0** |
| | | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 1 | **1700.0** |
| | | იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე | 1 | **1350.0** |
| | | საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე | 1 | **1 350.0** |
| | | ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე | 1 | **1 350.0** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე | 1 | **1 350.0** |
| | | კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე | 1 | **1 350.0** |
| | | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | 6 | **1 350.0** |
| 2 | | **საკრებულოს აპარატი** | **5** | |
| | **I რანგი** | საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **აპარატის უფროსი** | 1 | **1 000.0** |
| | **II რანგი** | საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი** | 1 | **810.0** |
| | **III რანგი** | საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – **იურიდიულ საკითხებში მთავარი სპეციალისტი** | 1 | **560.0** |
| | | საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – **კადრებისა და საქმისწარმოების საკითხებში მთავარი სპეციალისტი** | 1 | **560.0** |
| | | საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – **საორგანიზაციო საკითხებში მთავარი სპეციალისტი** | 1 | **560.0** |